



بِسْمِ اللّٰهِ الرَّحْمٰنِ الرَّحِيْمِ



დიანეთის საქმეთა სამმართველოს გამოცემლობა: 1697
ჯიბის წიგნები: 413/3

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი muslim-georgia

ბეჭდვითი მონიტორინგი

დოქ. ფატიჰ ქურთი

კოორდინატორი

ლოქმან არსლანი

გრაფიკა და ლიზანი

ბილალ ილკაი

გამოცემისთვის მოამზადა

უღურ ალთინთოფი

ნაწარმოების განმხილველი კომისიის გადაწყვეტილება:
12.11.2019/119

ISBN: 978-605-7730-86-2

2019-34-Y-0003-1697

სერთიფიკატის ნო: 12930

1. გამოცემა, სტამბოლი 2019

გამოცემა

İleri Basım Matbaacılık A.Ş.

B. Evler Mah. F.Çakmak 2 Cad. Güzelşehir Sit. 22 Villa No: 1

ANP/22 B.Çekmece / İSTANBUL • Tel: +90 212 454 35 10

Sertifika no: 41157

© თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა სამმართველო

საკონტაქტო ინფორმაცია

რელიგიური პუბლიკაციების გენერალური სამმართველო
უცხო ენასა და დიალექტებზე საგამოცემლო სამმართველო

Dini Yayıncılar Genel Müdürlüğü

Yabancı Dil ve Lehçelerde Yayınlar Daire Başkanlığı

Üniversiteler Mah. Dumluşpınar Bulvarı

No: 147/A 06800 Çankaya/Ankara/TÜRKİYE

ტელ: +90 312 295 72 81

ფაქსი: +90 312 284 72 88

e-posta: yabancidiller@diyanet.gov.tr

მუდან სისულეები

გვალების წესი

3



თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა სამმართველო

სარჩევი

| | |
|------------------------------------------------------------|----|
| გარდაცვალებისა და მიცვალებულის შესახებ | 7 |
| სიცოცხლის დასასრული | 14 |
| ადგილი, რომელსაც არ შეეფერება ტაში, ოვაციები, სლოგანები | 22 |
| სიკვდილის შემდეგ | 29 |
| მწუხარებისა და მოთმინების გაერთიანება | 33 |
| დაკარგვის შემდეგ | 45 |
| სიკვდილამდე სიკვდილის ფიქრი, რათა არსებობა ვისწავლოთ | 51 |
| სამუდამო მოგზაურობის მოწმენი, საფლავის ქვები | 53 |



გიქრის უკანასკნელი და მიკანას შესხვა

პროფ. დოქ. პაირედდინ ქარამან

ფიქრი სიკვდილზე

თანამედროვე ცხოვრებაში ცდილობენ დამკვიდრონ აზრი, რომ სიკვდილი და მის შემდგომი ცხოვრება არ არსებობს. ისინი ამბობენ, რომ არსებობს მხოლოდ „აქ“ და ფიქრი იმაზე, რომ ეს ცხოვრება წარმავალია ადამიანების სიმშვიდეს უკარგავს და ამ მატყუარა ბედნიერებას ჩრდილს აყენებს. ცნობილი ფრანგი სოციოლოგი ბაუდრილარდი მისთვის დამახასიათებელ სტილში წერს:

„გასვენების სახლების მეოხებით შესაძლებელია მიცვალებულების გარეგნობა ისე შეიცვალოს, რომ თითქოს იღიმებიან, კანიც უფრო ბუნებრივი და ჯანსაღი ჰქონდეთ, ვიდრე სინამდვილეში და თითქოს ცოცხალი არიან და ლაპარაკიც შეუძლიათ, იფიქრებს ადამიანი. ეს არის სიმულაცია, რომელიც სიკვდილის ბუნებრივად და

8 . მუდმა სიკვდილება .

ლამაზად წარმოჩენას ცდილობს. თანამედროვე საზოგადოება ცდილობს ყოველდღიური ცხოვრებიდან განდევნოს სიკვდილი და სადღაც ქალაქებარეთ, შორს განაგდოს ის. ადამიანები ცდილობენ წაშალონ სიკვდილი როგორც მეცნიერული, ისე ყოველდღიური ცხოვრებიდან. ამ მდგომარეობის მიხედვით, ადამიანის მცდელობა მოკლას თავად სიკვდილი, სინამდვილეში ადამიანური რეალობის მოკვლის მცდელობაა.“

სიკვდილზე ფიქრი და მზადება

შუამავალი გვირჩევს არასოდეს დავიწყოთ სიკვდილი, გაკეთოთ დმერთის მოსაწონი საქმეები, რათა სიკვდილის სამზადისში ვიყოთ და იმედი უნდა გვქონდეს დმერთის შემწყნარებლობისა. ამასთანავე ადამიანმა, რაც არ უნდა ტანჯვა მიადგეს, სიკვდილი არ უნდა ინატროს.

1. თავს დატეხილი უბედურებისა და ტანჯვის გამო სიკვდილი არ ინატროთ. ხოლო თუ რომელიმე თქვენგანი იძულებული გახდება ასე თქვას: დმერთო! თუ ჩემი სიცოცხლე სასარგებლოა, მაცოცხლე, თუ სიკვდილი სასარგებლოა, მომკალი“. (ებუ დავუდ. ჯენაიზ, 13)

2. ჯაბირის გადმოცემით, შუამავალს გარდაცვალებიდან სამი დღით ადრე უთქვამს: „არავინ მოკვდეთ ისე, რომ დმერთის შესახებ კარგი მოლოდინები არ გქონდეთ“. (იბნ მაჯე, ზუპდ 38)

კარგი მოლოდინები დმერთის შემწყნარებლობისა და მიტევების იმედის ქონაა.

3. შუამავალი მომაკვდავ ახალგაზრდასთან მისულა და „უკითხავს, როგორ ხარო. ცოდვების მეშინია და დმერთის წყალობის იმედი მაქვსო, უპასუხია ახალგაზრდას. თუ ასეა, დმერთი ამ ორ გრძნობას თავისი მონის გულში ერთდროულად არ გააჩენდა, რომ იმედი არ აუსრულოს და რისიც ეშინია მისგან არ დაიცვას“. (თირმიზი, ჯენაიზ 11)

ვედრება, მოწმეობა და მიცვალებულზე საუბარი

ჩვენთან არსებული წესისამებრ მიცვალებულის ნამაზის ლოცვის შემდეგ იმამი იქ მყოფებს კითხვით მიმართავს, თუ როგორი ადამიანი იყო მიცვალებული. მლოცველებიც წესისამებრ ამბობენ, რომ კარგი ადამიანი იყო და დმერთმა აცხონოს.

10 . მუდმა სისუფეელში .

ქალაქებში ვხვდებით გასვენების პროცესს, სადაც ნამაზის ლოცვის შემდეგ ან მანამდე მიცვალებულის თავთან დგებიან და მიცვალებულის შესახებ საკმაოდ ხანგრძლივად ლაპარაკობენ.

მიცვალებულზე ასე ხანგრძლივი საუბარი და მისი ქება-დიდება უმეცრების ხანის გადმონაშთია. გარდა ამისა, ისლამის მიხედვით მოკლე ვედრება და მიტევება უფრო მიღებულია, რადგან მიცვალებულის დიდხანს გაჩერება და დაკრძალვის დაგვიანება შუამავლის სუნნეთს ეწინააღმდეგება.

უცნობი ადამიანების შესახებ გაუაზრებელი დამოწმება, რომ ის კარგი იყო ან ცუდი, მიღებული არ არის. ამ დროს სასურველია, „ლმერთმა აცხონოს“- ვთქვათ. ეს ვედრებაა და არა მოწმეობა. (იბნულ ჰაჯ ელ მედჰალ, ეგვიპტე 1960) როდესაც ვიცით, რომ ადამიანი კარგი იყო და ამას დავადასტურებთ, ეს კარგია, სუნნეთია, სასარგებლოა. თუ ვიცით, რომ ადამიანი ცუდი იყო, მის შესახებ სულ რომ არაფერი ვთქვათ ჯობია, ხოლო ზოგ შემთხვევაში სიტუაციის ახსნაა საჭირო.

ნამაზის შემდეგ საფლავამდე

მიცვალებულის ნამაზის ლოცვის შემდეგ მიცვალებული საფლავამდე უნდა მივიტანოთ. ამ დროს ხამამაღალი ლაპარაკი, თექბირი, ზიქრი ან რაიმე მუსიკა მიუღებელია. მიცვალებულის საფლავში ჩასვენებამდე დაჯდომა მექრუჟია. ზოგიერთი სწავლულის აზრით მიცვალებულის მხრებიდან ძირს ჩამოღებამდე დაჯდომაა მექრუჟი.

დასაფლავების შემდეგი ვედრება და ყურანის კითხვა

როდესაც მიცვალებულს დაასაფლავებდნენ, შუამავალი საფლავთან ცოტა ხანი ჩერდებოდა და იქ მყოფებს ასე მიმართავდა: „თქვენი ძმის გამო ღმერთს შეევედრეთ და სოხოვეთ, რომ განკითხვა გაუოდდეს, რადგან ახლა ის განკითხვაზეა“. (ებუ დავუდ, ჯენაიზ 72)

ამ ჰადისიდან გამომდინარე მიცვალებულის დასაფლავების შემდეგ ცოტა ხანი საფლავთან გაჩერება და ვედრება სუნნეთია.

12 . მუდმა სისუფეელში .

დასაფლავების შემდეგ საფლავთან იასინის სურას და ბაქარას სურას თავის და ბოლოს წაკითხვა სასარგებლოა. ეს ჰადისებითა და სხვადასხვა ნაწარმოებებითაა დამტკიცებული. აღნიშნული საკითხის შესახებ ისლამის სწავლულები მსჯელობდნენ და იმამ შაფისა და იმამ მუჰამმედის აზრით საფლავთან აღნიშნული სურების კითხვა მუსთეპაბია. აპმედ ბინ ჰანბელი ჯერ უარყოფდა, მაგრამ შემდგომში დათანხმდა. იმამების, ებუ ჰანიფესა და მალიქის აზრით კი საფლავთან ყურანის კითხვა მექრუპია, რადგან -მათი აზრით- კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით სანდო ჰადისი არ არსებობს. (გაზალი, იპაუ ულუმიდ- დინ)

ფულის ან რაიმე ანგარების გარეშე, მხოლოდ ღმერთის კმაყოფილებისთვის ყურანის კითხვა მიცვალებულისთვისაც სასარგებლოა.

წმინდა წიგნი და სუნა მოგვიწოდებს, რომ ადამიანმა დვთისმსახურება და სიკეთე სასურველია მაშინ გააკეთოს, როცა ცოცხალი და ჯანმრთელია. ასე შესრულებული დვთისმსახურება და სიკეთე უფრო სასარგებლოა, ვიდრე ავადმყოფობისას შესრულებული ან ანდერძად დატოვებული.

ჰადისებით ცნობილია, რომ ადამიანის ცხოვრების წიგნი მისი სიკვდილისთანავე იხურება, მაგრამ თუ მისი ქმედება ან სიტყვა სიკეთის მიზეზი გახდა და ეს მისი სიკვდილის შემდეგაც ასე გაგრძელდა, მადლი მასაც ეწერება. იგივე ეხება ბოროტებასაც.

ისლამის სწავლულების აზრით მიცვალებულზე მადლის ჩუქების განზრახვით გაკეთებული ღვთისმსახურება მისაღებია და საიქიოში წასულ ადამიანს მისგან სიკეთე მიუვა.



საკულტურო დაბიუსონი

აბდულბაქი იშჩან

საშუალო სკოლის დამამთავრებელ კლასში ვხვავლობდი, როცა მისი „ცივი სახე“ დავინახე.

სკოლიდან ვბრუნდებოდი. გზად მეჩეთი იყო და მის შესასვლელთან მიცვალებული ესვენა. მოხუცი იყო. კანი სრულიად თეთრი ჰქონდა და წვერები ეკლებივით გამეჩერებოდა. სიკვდილი დავინახე მაშინ და ძალიან შემეშინდა. ალბათ ესაა სიკვდილი, რასაც ახლა ვხედავ, ვთქვი გულში. მისი სიცივე ვიგრძენი. უმწეობა და სასორაო კვეთა ვიგრძენი და ტირილი მომინდა. მისი ოჯახის წევრებზე ვფიქრობდი, განსაკუთრებით შვილიშვილებზე.

შემდეგ უკვე, როცა პროფესიულ სასწავლებელში ვხვავლობდი, მასწავლებელმა დაფაზე შემდეგი აიათი დაწერა: „ყოველი სულდგმული იგემებს სიკვდილს“ (ენბია 35). შემდეგ კლასში ამ აიათის შესახებ

მსჯელობა გაიმართა. მე ისევ გამახსენდა მაშინ, მეჩეთის წინ დასვენებული მოხუცის ცხედარი და ისევ შემძინდა. შემდეგ მასწავლებელმა გვთხოვა დღის ნებისმიერ თავისუფალ დროს, ან დამეში, ძილის წინ თვალები დაგვეხუჭა და გვეფიქრა შემდეგ ფრაზაზე: „მოკვდი სიკვდილამდე“. ეს სიტყვები რას გაგრძნობინებთ, ამაზე დაფიქრდითო, გვთხოვა მასწავლებელმა.

თავდაპირველად ვერ გავბედე, შემესრულებინა მასწავლებლის თხოვნა, მერე კი ზოგჯერ ვცდიდი ხოლმე, მაგრამ ვერანაირი შედეგი ვერ ვნახე. იმ პერიოდში მიცვალებულის ნამაზის ლოცვა მომიწია. იმამმა სამჯერ გვკითხა: „მიუტევებთ მას?“

ამ სიტყვებმა ცოტა გამბედაობა შემმაბა. იმ დამეს, როცა ყველამ დაიძინა მეც ოთახში განვმარტოვდი, დავწექი, მთლიანად გავსწროდი და თვალები დავხუჭედავიწყე ფიქრი ჩემს ახალგაზრდობაზე, ზრდასრულობაზე, ხანდაზმულობაზე და ბოლოს სიკვდილზე.

სახეზე სასიკვდილო ფერით, ვხედავდი როგორ ვიწექი გულალმა და ორგვლივ ოჯახის წევრები მეხვივნენ. ყველანი იქ იყვნენ. მეუღლე, შვილები, დები და ძმები, ყველანი... ყველანი იქ იყვნენ, ვინც მიყვარდა. ბავშვობის მეგობრებიც კი თავთან

16 . მუდმა სისუფეელში .

ისხდნენ. ვხედავდი ამ ყველაფერს, მაგრამ ეს ის არ იყო, რისი ნახვაც მინდოდა. ახლობლები მწუხარებით, მაგრამ უცნაურად მიყურებდნენ. თითქოს ვინმე უცხო ვიყავი და ამდენი წელი ერთად არ გვეცხოვრა. ისინი კი არა, საკუთარი სხეულიც უცხოდ მეჩვენებოდა. ეს გამხმარი მკლავები და მზერის მიმართულებით მყოფი, ეს გაყვითლებული ფეხის თითები ნუთუ ჩემია? მე მინდოდა ხელი გამეწვდინა, შევხებოდი ჩემს ახლობლებს, მათი სიცოცხლე და სხეულების სითბო მეგრძნო, მაგრამ შევნიშნე, რომ ისინი თავს იკავებდნენ და შეხება არ სურდათ. არავის უნდოდა მოძრავი სისხლისგან დაცარიელებული, ცივი ხელის შეხება. მხოლოდ მეუღლე მომიახლოვდა. ჩემი გაყინული ხელი მის თბილ ხელებში მოიქცია, მერე ლოკაზე მიიდო და დიდი ხანი ასე იყო.

გაზაფხულის შემდეგ ზაფხულიც გავიდა და და შემოდგომის ქარმა შემხმარი ფოთლები შრიალით მოხვეტა. ეს ქარი მოვიდა, მკერდი გამიხსნა და სულის სხეულთან განცალკევების ხმით ჩემში შემოიჭრა.

ყველაფერი დასრულდა, ვთქვი გულში.
და დრო გაჩერდა...

ამ ქარის ქროლაში ზამთარი ჩამოწვა, ირგვლივ წყვდიადმა დაისადგურა. საიდან-

დაც სველი მიწის სუნი მოდის და ცხვირის ნესტოებს ედება. სხეულის სხვადასხვა ადგილას ცეცხლს ვგრძნობ. თვალებში სითხე მიშრება, ვეღარ ვხუჭავ და თითქოს გაქვავდაო, ქუთუთოებს შორის გაიყინა მზერა.

ყველაფერი გლუვმა სიცივემ მოიცვა.

ჯერ პირი დამიხურეს და რაღაც ნაჭრით ყბა ამიკრეს. შემდეგ თვალები დამახუჭინეს. ხელები გვერდებზე დამილაგეს. თან ღმერთს ახსენებდნენ და ჩემს თავს ავედრებდნენ.

შემდეგ ყველანი გავიდნენ...

ცოტა ხანში მოვიდნენ, ჩემი გაქვავებული სხეული წაიღეს და დაბანეს. შემდეგ სუდარაში შეახვიეს.

შემდეგ მწკრივებად მდგარმა მლოცველებმა ნამაზი ილოცეს და მერე ჩემზე ადრე გარდაცვლილების გვერდით დამმარხეს.

თვალები გავახილე. სულ შეწუხებას ვგრძნობდი. ხმამაღლა რომ არ ავტირებულიყავი ძლივს ვიკავებდი თავს. გაუნდრევლად განვაგრძობდი წოლას. შუბლზე სიმწრის ოფლი მასხამდა, ტუჩები გამშრო-

18 . მუდან სხეულები ...

ბოდა და მთელ სხეულზე მციოდა. მხოლოდ ერთი რამ მიტრიალებდა გონებაში: „ლმერთო, შენ მიშველე“. ხმას ვერ ვიღებდი, მაგრამ გულში გამუდმებით ამ ფრაზას ვიმეორებდი. ლმერთო მიშველე... ლმერთო მიშველე...

იმ დღეს, როდესაც მეჩეთის ეზოში იმ მოხუცის ცხედარი ვნახე, იქიდან პარკში წავედი. პარკში ტახტრევანი იდგა. ტახტრევანის ერთი ბოლო სიკვდილის ოთახად წარმოვიდგინე, ხოლო მეორე ბოლოში მე ვიყავი. შუა ნაწილი კი სიცოცხლის გზას მივამსგავსე. მანძილი რამოდენიმე ნაბიჯს არ აღემატებოდა. ამ ორ წერტილს შორის სიცოცხლე ისეთი ხანმოკლე მეჩვენა, თითქოს ასანთის დერი დაიწვა. წამებში დაიწვა და ნაცრად იქცა...

და ასე მოხდა...

დრო გაიყინა...

სიცოცხლემ ფილმის კადრებივით ჩაიქროლა თვალწინ. თვალები დავხუჭე, მთელი სხეულით ქაბასკენ შევტრიალდი და ფიქრი განვაგრძე.

მე ისევ ჩემი მკვდარი სხეულით ვიწე-
ქი და ირგვლივმყოფებს ვათვალიერებდი.
ეველა ერთმანეთისთვის ლმერთს ევედრე-
ბოდა. ჩემი ნათესავები ერთმანეთს ეხვე-

ოდნენ და ჩემს შთამომავლებს დიდხანს სიცოცხლეს უსურვებდნენ.

შემდეგ უკან-უკან ხედვით და ცრემლუ-
ბით დამშორდნენ და სათითაოდ წავიდნენ.
ჩემი ოჯახი ცოტა ხნით კიდე დარჩა ჩემს
გვერდით. ისინი იმ მიწას ეფერებოდნენ,
რომელიც გულზე მეყარა. ნუ გეშინია, ჩვენ
ყოველდღე მოვალთ და შენოვის დმერთს
შეევედრებით, არ მიგატოვებოთ, მპირდე-
ბოდნენ.

ასე მითხრეს და მერე წავიდნენ.

მე კი ჩემს წარსულთან მარტო დამტო-
ვეს.

ვიცი, რომ ცოტა ხნით განერიდებიან
ადამიანებს და ცოტა ხანი მარტოობას ირ-
ჩევენ. არავისთან საუბარი აღარ ენდომე-
ბათ და ჩემს სურათებს თვალცრებლიანი
შეხედავენ და დაღონდებიან. ისინი ბევრ
რამეს გაიხსენებენ და ერთმანეთს მოუყ-
ვებიან. თავიდან სიცარიელეს იგრძნობენ,
მაგრამ ბოლოს ამ ყველაფერს შეეგუებიან
და აღიარებენ, რომ ადამიანი სიკვდილზე
მარტო მიდის.

ბოლოს მიხვდებიან, რომ ადამიანმა შე-
იძლება დაივიწყოს სიკვდილი, მაგრამ სიკვ-
დილი არასოდეს დაივიწყებს ადამიანს.

20 . მუდმა სისუფეელში .————

ნეტა მიწას შევუერთდი თუ მარტოობის
მეწყვილე გავხდი?

რისთვის დავიბადე, რისთვის ვცოცხ-
ლობდი?

ვინ დარჩა ჩემს უკან, ვინ ცხოვრობს იქ,
სადაც მე ვცხოვრობდი?

ვინ გაინაწილა ის ყველაფერი, რაც უჭ-
მელ-უსმელობით შევაგროვე?

ზოგი ტირის, ზოგი იტანჯება, ზოგმა და-
მივიწყა, ზოგს ისევ ვახსოვარ...

ზოგმა მიხვდა, რომ განშორების დრო
დადგა...

ზოგი ამბობს, ნუთუ სიკვდილს არაფერი
შემოევლება?

რა არის სიკვდილი? რა დაინახეთ ჩემ-
ში? ჩემს შემდეგ რა დაგრჩათ გონებაში?

ვისი ხვედრი არ არის სიკვდილი? ვინმე
დააღწევს თავს?

...

ვისაც სწამს, მათ უკვე იციან, რომ ნამდ-
ვილი და მუდმივი სამყოფელი საიქიოა.
მათ იციან, რომ მაცოცხლებელიც და მო-
მაკვდინებელიც ალლაპია, რომელიც შემ-
დეგ მკვდრეთით აღგვადგენს. მათ ისურვეს,
რომ გადარჩენილთა შორის ყოფილიყვნენ.

მათ თავიანთი სიცოცხლე ცეცხლის
ალს არ შეატოვეს და სიკვდილს ცის სი-
ლურჯეში შეხვდნენ.

მათ საკუთარი თავი იპოვეს.

უსასრულობაგ, უკვდავებაგ, გახსენი კა-
რები!



დღიულა. ნომერსიც არ შეკვეთება ცაშა. ოდისეისა. ხლოებისა

დოქ. ექრემ ქელეშ

„და სხვა რამ არ იყო მათი ლოცვა და გარდა სახლთან, გარდა სტვენისა და ტაშისცემისა . მაში, იგემეთ ტანჯვა იმისთვის, რასაც უარყოფდით!“ (ენფალ 35)

ადამიანის რელიგიური იდენტობის მაჩვენებელთაგან სიკვდილი ყველაზე თვალსაჩინოა. როდესაც ადამიანი გარდაიცვლება მისი ახლობლები, მეზობლები, ნაცნობები და სხვა თანამორწმუნები მიცვალებულისთვის კონკრეტულ რიტუალებს ატარებენ და მისი სულისთვის დმეროს ევედრებიან. ამასთანავე, მორწმუნე ადამიანს სურს, რომ მისი სიკვდილის დროს თავისი რწმენის შესაბამისად დაკრძალონ. ამ თვალსაზრისით ყოველ რელიგიასა თუ ეროვნებას მისთვის დამახასიათებელი წესები შეუქმნია და ეს წესები დროთა განმავლობაში ტრადიციადაა ქცეული.

ისლამის მიხედვით მიცვალებულს ჯერ განბანავენ, შემდეგ სუდარაში ახვევენ, ნა-

მაზს ლოცულობენ და მიწას აბარებენ. ყველა ეს რიტუალი შეძლებისდაგვარად სწორად, დაგვიანების გარეშე და მოკრძალებულად უნდა ჩატარდეს.

შუამავალი მიცვალებულის ახლობლები ყვირილითა და წივილ-კივილით მოტქვამდნენ, ხელებს გულში იცემდნენ და სხვადასხვა ფორმებით თვითგვემას ეწეოდნენ. შუამავალმა მსგავსი ტიპის დატირება აკრძალა. შუამავალი მორწმუნებს ურჩევდა, რომ თანამორწმუნის გარდაცვალება ხმაურის გარეშე მიეღოთ და გარდაცვლილი მმის წინაშე უკანასკნელი ვალდებულება დირსეულად შეესრულებინათ.

შუამავალი გარდაცვლილის წინაშე არსებულ უკანასკნელ მოვალეობებს ასე გვასწავლიდა. მიცვალებული შეძლებისდაგვარად მალე უნდა იქნას განბანილი, მერე სუდარაში უნდა გავახვიოთ, შემდეგ ნამაზი ვილოცოთ და მიწას მივაბაროთ. ყველა ეს რიტუალი მაქსიმალურად უხმოდ და მოკრძალებით უნდა შესრულდეს.

როდესაც ადამიანი გარდაიცვლება მისი ოჯახის წევრების, სხვა ახლობლების და ზოგადად მისი მოყვარულების მიერჩუმი ტირილი და ცრემლი რა თქმა უნდა ბუნებრივი, ადამიანური მოვლენაა. შუამავალმა თავად ბრძანა, რომ ეს სრულიად

ბუნებრივი და ადამიანური გრძნობაა. რო-
დესაც შუამავალს შვილი, იბრაჟიმი გარ-
და გვალა თავადაც იტირა. მისი მეგობრე-
ბი გაოცებული უყურებდნენ, შუამავალმა
კი ბრძანა:

„ეს ღმერთის წყალობაა. მან ის ადამია-
ნების გულში მოათავსა. ღმერთი მხოლოდ
მათ შეიწყნარებს, ვინც შემწყნარებელია“.
(ბუპარი, ჯენაიზ 44)

გარდაცვლილი ძმის წინაშე რა ვალ-
დებულებებიც გვაკისრია და როგორ უნდა
გავასვენოთ ეს შუამავლის, მისი თანამედ-
როვე მეგობრებისა და ისლამის სწავლუ-
ლების მიერ ნათლადაა განმარტებული.
ამის მიუხედავად თანამედროვე პერიოდ-
ში არსებობს შემთხვევები, როცა მუსლი-
მი მიცვალებულის გასვენებაზე ზოგჯერ
ისლამისთვის შეუფერებელი ქცევები ფიქ-
სირდება. ასეთ შემთხვევებში რელიგიური
წინამდღვრები სწორი ქცევისკენ მოუწოდე-
ბენ ხოლმე და ამ საკითხშ მათ მხარი უნდა
დავუჭიროთ. მიცვალებულის გასვენების
წესი საუკუნეების მანძილზეა ჩამოყალი-
ბებული და მისი წესისამებრ განხორციე-
ლება ყველა მლოცველის ვალდებულებაა.

მაგალითად გასვენებაში ტაშის დაკვრა
და მსგავსი ოვაციები ისლამის წესების
წინააღმდეგია და ის „ბიდათ“-ად, გადაც-

დომად ფასდება. შეიძლება ამ ყველაფრის მიზეზი უცოდინარობა იყოს, ამიტომ მორწმუნე მუსლიმების ვალია ამგვარი გადაცდომებისგან თავშეკავება და ისლამის წესების ზუსტი დაცვა. ბიდათი რელიგიაში მოგვიანებით შემოსული ცრურწმენებია, რომლებიც ისლამის ძირითად პრინციპებს არ შეესაბამება. ყოველი ქმედება, რომელიც წმინდა წიგნს, სუნას ან სწავლულთა კონსესუსის მიერ მიღებულ გადაწყეტილებას არ შეესაბამება და მათ ეწინააღმდეგება ბიდათია, გადაცდომაა. ბიდათი ადამიანს სწორი გზიდან აცდენს, ეს კი გზაა ცეცხლისკენ.

მორწმუნე ოჯახშ დაბადებულ ბავშვს ყურში ეზანს უკითხავენ. შემდეგ დღეში ხუთჯერ, ყოველი ნამაზის დროს ეს ხმა ესმის და მთელი მისი ცხოვრება მასთანაა შერწყმული. გამომდინარე აქედან, მორწმუნის ცხოვრებაში ეზანი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სიმბოლოა. მიცვალებულის ნამაზის დროს ეზანი არ იკითხება. ამ ფაქტის ასახსნელად ზოგიერთი მოსაზრება საკმაოდ ყურადსალებია. მაგალითად ერთ-ერთი განმარტება ასეთია: „ამ ნამაზის ეზანი ისაა, რომელსაც ახალშობილს ყურში უკითხავენ.“

სიკვდილთან ყველაზე მეტად ახლო მდგომარეობა და მისთვის შესაფერისი

ქცევა სიჩუმე და მოკრძალებაა. ამიტო-
მაა, რომ მიცვალებული უხმაუროდ უნდა
გადავიყვენოთ. მიცვალებულის გასვენე-
ბის პროცესში სიცოცხლეზე, სიკვდილსა
და სიკვდილის შემდგომ სამყაროზე უდა
ვიფიქროთ. მორწმუნე მმის გასვენებისას
მლოცველები ამ ყველაფერზე ფიქრო-
ბენ და მიცვალებულის შენდობისთვის
ღმერთს ევედრებიან.

ამ უხმო მგზავრის გაცილებისას ხმაუ-
რი და განსაკუთრებით კი ტაში, ან მსგავ-
სი რამ შეუფერებელია. ისლამის მიხედ-
ვით გასვენება და მასთან დაკავშირებული
რიტუალები ღვთისმსახურებაა. ამ პრო-
ცესში მორწმუნე მუსლიმები გარდაცვ-
ლილის სულისთვის ღმერთს ევედრებიან,
ახლობლებს კი ანუგეშებენ. გარდა მიც-
ვალებულის წინაშე ვალდებულებისა, იქ
მყოფები მაგალითს იღებენ და ცხოვრების
ამაოებაზე დაფიქრდებიან ხოლმე. ამ ყვე-
ლაფრიდან გამომდინარე, გასვენებაში ტა-
ში, მუსიკა, ხმაური, ხმამაღლა ტირილი ან
რაიმე პომპეზური ცერემონიალის გამართ-
ვა მიუღებელია.

გარდა ამისა, ისლამის მიხედვით, განსა-
კუთრებით ღვთისმსახურებისა და მასთან
ახლო მდგომ საკითხებში სხვა რჯულის
ხალხზე დამსგავსება პრინციპულად მიუ-
ღებელია. ისლამის ამ მოთხოვნას საფუძვ-

ლად უდევს მექელი ურწმუნოთა იმდროინ-
დელი ღვთისმსახურების ფორმები.

„და სხვა რამ არ იყო მათი ლოცვა
ღმერთის სახლთან, გარდა სტვენისა და
ტაშისცემისა . მაში, იგემეთ ტანჯვა იმისთ-
ვის, რასაც უარყოფდით!“ (ენფალ 35)

სხვა რელიგიებისთვის დამახასიათე-
ბელი ტრადიციებისა და რიტუალების
მიბაძვა, განსაკუთრებით კი როცა საქმე
ღვთისმსახურებას ეხება, კატეგორიულად
მიუღებელია და ისლამის დამოკიდებულე-
ბა ამ მხრივ პირდაპირი და მკაფიოა. მიც-
ვალებულის წინაშე არსებული ვალდებუ-
ლელების მოხდის პროცესი ღვთისმსახუ-
რების პროცესია. მიცვალებულის ნამაზის
ლოცვა ფარზი ქიფაიეა. ყველა რიტუალის
შესრულება და თანამორწმუნის მიწისთ-
ვის მიბარება ზედმეტი ხმაურის გარეშე
უნდა მოხდეს. ამით მიცვალებულის წინა-
შეც პატივისცემას ვადასტურებთ. მიცვა-
ლებულის შესახებ ტკბილი მოგონებების
გახსენება და მისი სულისთვის ვედრება
სასურველი და მისაღები საქციელია.

მიცვალებულის ნამაზი ღვთისადმი
ღვთისმსახურებას, მიცვალებულის სული-
სადმი ვედრებასა და შუამავლის ხსენებას
წარმოადგენს. ამ დროს ყველაზე უკეთე-
სია მიცვალებულის სული ღმერთს შევა-

ვედროთ, მიტევება ვითხოვთ, ახლობლები ვანუგეშოთ და სიკვდილზე დავფიქრდეთ. უურანში შექებული არიან ის მორწმუნენი, რომლებიც მიცვალებულ თანამორწმუნისათვის ღმერთს ევედრებიან:

„და რომელნიც მოვიდნენ მათ შემდგომ, ამბობენ: „ღმერთო ჩვენო! შეგვინდე ცოდვები ჩვენი და ჩვენი ძმების, რომელთაც ჩვენ გაგვასწრეს რწმენით. და არ ჩაგვინერგო გულებში შური იმათ მიმართ, რომელთაც ირწმუნეს. ღმერთო ჩვენო, უეჭველად, შენ ლმობიერი და მწყალობელი ხარ!“ (პაშრ 10)



სიკვდილის შემდეგ

პროფ. დოქ. ქემალ საიარ

ადამიანი სიკვდილისთვის იბადება. რახან დაიბადა აუცილებლად მოკვდება. ეს გარდაუვალია. ადამიანს არ შეუძლია გააკონტროლოს სიკვდილი. ასევე ის ვერ გააკონტროლებს სიკვდილის მოსვლის დროს, ადგილს ან ფორმას. როცა სიკვდილის დრო დადგება ადამიანს ვერავინ დაეხმარება. ადამიანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანის, სიცოცხლის შესახებ ამგვარი გაურკვევლობა და ბუნდოვანი ცოდნა ხშრად საგონებელში აგდებს ადამიანებს. თუმცა ადამიანი ყოველდღიური საქმიანობის გამო ახერხებს დაივიწყოს სიკვდილი და აღარ იფიქროს მასზე. თუმცა, ზოგჯერ არსებობს სიტუაცია, როდესაც ადამიანი იძულებული ხდება იფიქროს სიკვდილზე. ამგვარი სიტუაციებიდან ყველაზე ეფექტური ახლობელი ადამიანის სიკვდილია.

სიკვდილზე ფიქრი, მასთან პირისპირ დარჩენა და მდგომარეობის შეფასება არ

არის ნეგატიური მოვლენა. ის უფრო კონსტრუქციულია, ვიდრე დესტრუქციული. მას აქვს თვესება ცხოვრებას უფრო რეალისტური თვალით შევხედოთ. ადამიანს განსაკუთრებით აფიქრებს ახლობლის გარდაცვალება, რომელსაც კარგად იცნობდა, იცოდა მისი მიზნები, გაკეთებული საქმეები, ჯერ დაუმთავრებელი გეგმები, მისწრაფებები, სურვილები, იმედები და იმედგაცრუებები. ასეთ დროს ადამიანი სიკვდილს უფრო ყურადღებით განიხილავს და შესაბამისად სიცოცხლესაც.

სიკვდილზე ფიქრი, რა თქმა უნდა შეშფოთებას და დარდს იწვევს. გასვენებაში მყოფი ადამიანი, მართალია იმ მომენტისთვის ახლობლის დაკარგვით გამოწვეულ დარდს განიცდის, მაგრამ ქვეცნობიერში მას საკუთარი სიკვდილის გარდაუვალობაც ახსენდება და ამასაც განიცდის. ასეთი ფიქრი სასარგებლოცაა, თუმცა სასოწარკვეთამდე და უიმედობის მდგომარეობამდე არ უნდა მივიდეთ. ეს არის ადამიანის ბუნებრივი რეაქცია ესოდენ მგრძნობიერე საკითხის მიმართ. სიკვდილის შიში და მასთან დაკავშირებული შფოთვა ცნობიერებას აფხიზლებს და რეალისტურ დამოკიდებულებას წარმოშობს.

სიკვდილის, როგორც გარდაუვალი ჭეშმარიტების აღიარება, მიღება და შესაბა-

მისი გაბედულების გამოჩენა, საბოლოო ჯამში სიკვდილის მიმართ ნორმალურ და გაცნობიერებულ დამოკიდებულებას გამოგვიმუშავებს. სიკვდილის შიშის გამო გამოწვეული შფოთვა თუ ნერვიულ აშლილობამდე მივა, ეს, როგორც ცნობილი მოაზროვნე ამბობდა, არარსებობისგან გაქცევით არსებობის უარყოფას ნიშნავს.

ახლობლის გარდაცვალების შედეგად გამოწვეული მწუხარებისა და შფოთვის ნორმალურ ფარგლებში მოსაქცევად ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი გასვენების პროცედურაა. გასვემების ცერემონიალი ყვალ ერისა და რელიგიისთვის დამახასიათებელი მოვლენაა. არცერთი კულტურისა თუ რელიგიური სისტემის მიმდევრებს მიცვალებული არ მიუტოვებიათ და მათთვის დამახასიათებელი რელიგიური რიტუალების შესაბამისად იქცევიან.

გასვენების რიტუალი უპირველეს ყოვლისა მიცვალებულის ახლობლებს ეხმარება, რათა სიკვდილის აღიარება და მიღება შეძლონ. სწორედ ეს არის იმ სიმბოლური რიტუალებისა და პროცესიების ჩაარების მიზანი, რომლებიც მიცვალებულის გასვენებასთანაა დაკავშირებული. ადამიანს უბედურების აღიარება უჭირს. როცა ის იგებს, რომ მისი ახლობელი, საყვარელი, ძვირფასი ადამიანი გარდაიცვალა და მეტს

ვეღარ იხილავს, პირველი რეაქცია უარყოფა და დაუჯერებლობაა. გასვენების ცერემონიალები სწორედ, რომ ამ ფაქტთან შეგუებას აიოლებს. არსებობს შემთხვევები, როცა ადამიანი დაიღუპება, მაგრამ მის ცხედარს ვერ პოულობენ. ასეთ შემთხვევების დროს ახლობლები, როგორც წესი არ იჯერებენ და იმედს არ კარგავენ. მიცვალებლის მიმართ არსებული მოვალეობების შესრულებისა და მისი მიწას მიბარების დროს ახლობლები უკვე იჯერებენ და იღებენ ამ სამწუხარო ფაქტს. ისინი უკვე გამოდიან უარყოფისა და ფაქტთან შეურიგებლობის მდგომარეობიდან. ახლობელი ადამიანის მიწაში დასაფლავებიდან უკვე მგლოვიარების ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია იწყება. ისინი უკვე მზად არიან დაიჯერონ ეს სამწუხარო ფაქტი და ეს პროცესი გარკვეული პერიოდი გრძელდება.

გასვენების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი არის ის, რომ მიცვალებულის ოჯახის წევრები თავიანთ მწუხარებას გასვენებაში მოსულ ადამიანებს უზიარებენ. ადამიანებს მწუხარება უმსუბუქდებათ, როცა თავიანთ მწუხარებას სხვებს უზიარებენ. გარდა ამისა ისეთი ადამიანების ნახვა, რომელსაც იგივე მწუხარება გადაუტანიათ, ჭირისუფლებისთვის შვების მომტანია და ერთგვარი ურთიერთთანაგრძობის კავშირები მყარდება.



შეუბინებასა და მოთმანებას გვერდისნება

პროფ. დოქ. სონერ გუნდუზოზ

ტირილი და პასუხიმგებლობა

ადამიანი თავისი ცხოვრების მანძილზე სულიერი სიმშვიდის ძიებაშია, რადგან ცხოვრება ხშირად პრობლემებითაა სავსე. ცხოვრებას ხშირად სხვადასხვანაირად აღწერენ, მაგრამ მასთან დაკავშირებული შეკითხვები ძირითადად იგივეა: ადამიანი მატერიალური ჩარჩოებით შემოსაზღვრული და უმეტესწილად იმედგაცრუნებით გაუფერულებული ცხოვრებით კმაყოფილია? ნეტა თუა შესაძლებელი, რომ ადამიანმა ამქვეყნიურსა და საიქიოს შორის მოქცეულ ცხოვრებას სიყვარული, სიბრძნე და მშვიდი რიტმი შესძინოს? როდის წავა ადამიანი იმ „უცხო მხარეში“, რომლის შესახებაც ხშირად მოუმენია? ამ უცხო მხარეში გადასახლება ნამდვილად მოუტანს ბედნიერებას? თუ დროის გაჩერება შესაძლებელია და ეს მოგზაურობა აღარ დაიწყება? ნეთუ ადამიანი ის არსებაა,

რომელიც თავსხმა წვიმის ქვეშ მოყვა და არ იცის თავი სად შეაფაროს? ნუთუ ადა-
მიანი ირგვლივ ჩამოწოლილი წყვდიადის
შემდეგ გათენებას ვერ ეღირსება?

სიკვდილი ფარდა-ფარდა ეხვევა ჩვენს
სიცოცხლეს და ყველაზე მოულოდნელ
მომენტში, ხან მარტოს, ხან კიდევ ხალხ-
მრავლობაში მოგვისწრებს ხოლმე. სიკვ-
დილი ჩვენს მოთმინებას ცდის. ბაყარას
სურას 155-156-ე აიათებში ლმერთი ბრძა-
ნებს:

„და, უეჭველად, ჩვენ გცდით ოქვენ ცო-
ტა შიშითა და შიმშილით, ქონების, სულთა
და ნაყოფთა ნაკლებობით. და შენ ახარე
მომთმენთ,

რომელთაც ეწიათ რაიმე უბედურება, და
თქვეს: უეჭველად, ჩვენ ალლაპს ვეკუთვნით
და უეჭველად, მისდა მივიქცევით ჩვენ.“

სიკვდილი ოჯახთან, შვილებთან, მშობ-
ლებთან, სისხლსა და ხორცთან განშორე-
ბაა, მაგრამ ის ლმერთთან დაბრუნებაა. ეს
არის საშუალება, რომ საიქიოში ჩვენ ისევ
შევხვდეთ ჩვენთვის ძვირფას ადამიანებს.

წვიმის შემდეგ მიწის სურნელებას შე-
ვიგრძნობთ, ქარი თმებს გვიწევავს და ჩვენ
სიცოცხლე გვიხარია. ამ დროს მოვა სიკვ-

დილი და მიაქვს ესოდენ შეჩვეული სიცოცხლე. ვინ როგორ ვიცხოვრეთ, თითქოს ამის ნიშანი იყოს. სიკვდილი ხომ ერთა-დერთი გზაა ღმერთთან სამუდამოდ და-საბრუნებლად, ამიტომ ის, რა თქმა უნდა კარგია. შუამავალი სიკვდილს „ყველაზე დიდ მეგობართან“ შეხვედრის საშუალებად მიიჩნევდა, ამიტომ ის, რა თქმა უნდა ლამაზია. სიკვდილი ხომ ხიდია ჭეშმარი-ტი ცხოვრებისკენ, ამიტომ ის, რა თქმა უნდა კარგია.

სიკვდილი სამწუხაროა, რადგან ჩვენი ახლობლები და ძვირფასი ადამიანები მიჰყავს. ის ცრემლს, ტკივილს და გულისტ-კივილს იწვევს. თუ უფრო შორს გავიხედავთ, ეს არის დვთიური ბეჭედი, რომელიც უფრო დიდ მიზანს ემსახურება. სიკვდილი სიცოცხლესავით დასაფასებელია. ის გზაა ღმერთისკენ. ის არის უკან დაბრუნება იქ, საიდანაც მოვედით. ეს არის დროისა და სივრცის მიღმა გასვლა. ყველა ცრემლი, რომელიც მშობლებს, შვილებს, და-ძმებს, ახლობლებს და იქნებ სრულიად უცხო ადამიანებს სდით არის ქედის მოდრეკა მარად უკვდავი, სამყაროს გამჩენის წინაშე და მტკიცებულება იმისა, რომ ჩვენ ცხოვრების დინებაში საკუთარი წვლილი ვიწვნიეთ.

ადამიანის სიცოცხლე დვთით დაფა-სებული და ამაღლებულია, ამიტომ მისი

სიკვდილიც იმდენად იმსახურებს პატი-
ვისცემას. როდესაც ადამიანი კვდება ჯერ
განბანავენ, მერე თეთრ სუდარაში ახვევენ
და შემდეგ ნამაზით აცილებენ, ეს ყველა-
ფერი ტყულად არ ხდება. ადამიანი ყვე-
ლაზე პატივდებულ არსებადაა გაჩენილი
და მას ღვთიური ვალდებულებები აკის-
რია, ამიტომ როცა ის კვდება და ღმერთს
უბრუნდება, მის ამ მოგზაურობას პატივი
უნდა მივაგოთ.

გამომდინარე აქედან, მორწმუნე ძმის
უკანასკნელ გზაზე გაცილებისას არსებუ-
ლი მოვალეობების შესრულება და ღმერ-
თისადმი ვედრება ჩვენი მორწმუნოებრივი
და ადამიანური ვალდებულებაა. მიცვა-
ლებული რაც არ უნდა იმ სარწმუნოების
იყოს, ცოცხლების მხრიდან პატივისცემას
იმსახურებს, რადგან ის ღმერთმა გააჩინა,
სიცოცხლე უწყალობა და საიქიოში წაიყ-
ვანა. როდესაც ერთ-ერთი ებრაელის გას-
ვენების პროცესიას სათანადო პატივი არ
მიაგეს შუამავალმა იქ მყოფებს უსაყვა-
დურა, ისიც ხომ ღმერთის გაჩენილი ადა-
მიანი იყოო. მიცვალებულის მიმართ პატი-
ვისცემა მხოლოდ იმ პიროვნების მიმართ
ჩვენს დამოკიდებულებას კი არ გამოხა-
ტავს, ამასთანავე ეს არის ღმერთის ნები-
სა და სიდიადის მიმართ ჩვენი შიშისა და
კრძალვის გამოხატულება. გარდა ამისა,
მიცვალებულის მიმართ პატივისცემა მი-

სი ჭირისუფლებისთვის ნუგეშის მომცემი ქვევაა.

ამქვეყნიური ცხოვრება ღმერთის ნებით ისეა მოწყობილი, რომ დვთის წყალობა ურწმუნოებსაც ერგებათ, თუმცა უარმყოფლები ამ წყალობას არ ჯერდებიან და უფრო მეტი სურთ ან უკვდავებას ითხოვენ. უარმყოფელები საიქიოს სანაცვლოდ ამქვეყნიურს ირჩევენ. ყურანში ნაბრძანებია:

„აი ეგენი, რომელთაც ამქვეყნიური ყოფა იმქვეყნიურის ფასად იყიდეს და არ შეუმსუბუქდებათ მათ სასჯელი, და არც იქნება შეწევნა მათი.“ (ბაყარა 86)

„რომელნიც ურწმუნონი არიან, მოკაზ-მული ეჩვენათ მათ ამქვეყნიური ცხოვრება და დასცინიან იმათ, რომელთაც ირწმუნეს. და რომელნიც დვთისმოშინი არიან, მათზე (ურწმუნონზე) აღმატებული იქნებიან აღდგომის დღეს და ალლაჰი უთვალავს უბოძებს, ინებებს ვისაც.“ (ბაყარა 212)

„კაცთათვის მიმზიდველი და თვალ-წარმტაცი გახდა ქალების, ბავშვების, ოქ-რო-ვერცხლის, დახვავებული საუნჯისა და ნიშანდებული ბედაურების, საქონლის, ნათესების სიყვარული. ოდონდ ეს (ყველაფერი) ამქვეყნიური დროებითი საბადებელია, ხოლო საუკეთესო თავშესაფარი (მარადი-

ული სამყოფელი) ალლაპთანაა!“ (ალი იმ-რან 14) იხ. აგრეთვე ალი იმრან 185.

გამომდინარე აქედან ადამიანი ამქვეყნიური სიამის ტრფიალშ არ უნდა დაიკარგოს და საიქოზე უნდა იფიქროს. იუნუსის სურას 7-ე და 8-ე აიათებში ნაბრძანებია:

„უეჭველად, რომელნიც არ იმედოვნებენ ჩვენთან შეხვედრას, კმაყოფილი არიან ამქვეყნიური ცხოვრებით და დასჯერდნენ მას, და რომელნიც ჩვენი სასწაულების მიმართ უსულგულო არიან,

აი,მათი თავშესაფარი ცეცხლია იმის გამო, რაც მოიხვეჭეს!

შესაბამისად, ნამდვილად უბედურია ის ადამიანი, რომელიც სიკვდილს ისე არ იღებს როგორც წყალობას და მხოლოდ ამქვეყნიური მოსახვეჭელი ადარდებს. ხოლო ისინი, ვინც ცხოვრებას დვთიური ნების შესაბამისად ატარებს და ყურანის წესებით ცხოვრობს მუდმივ სამოთხეს და-იმკვიდრებენ.

მომაკვდავ ადამიანს, როგორც წესი ყურანს უკითხავენ, რათა დმერთის არსებობისა და ერთადერთობის რწმენა ახსოვდეს და ეს კარგია, თუმცა ყურანი ნამდვილად მაშინ უშველის ადამიანს თუ სიცოცხლე-

ში ყურანის წესებით იცხოვრა. ყურანი არა მკვდრებს, არამედ ცოცხალ ადამიანებს მოუვლინა ღმერთმა. ის არის სული, რომელიც ადამიანის გულს სიცოცხლეს სძენს. სასიკვდილო სარეცელზე მწოლარე ადამიანს იასინის სურას უკითხავენ, რათა მის გულში მალამოდ ჩაედვაროს. ეს შუამავლის რჩევაა. ყურანი ადამიანს სიცოცხლეს სძენს. ყურანის ადამიანის ცხოვრებას აზრს სძენს. ამიტომაა, რომ სიკვდილის დროსაც ყურანს უკითხავენ.

ისლამის მიხედვით მორწმუნე ძმის გასვენებაზე დასწრება, ავადმყოფის მონახულება, გაჭირვებულზე დახმარება და მსგავსი ქცევები საზოგადოებრივ ერთიანობას აძლიერებს და თან მადლია. შუამავალი მის მეგობრებს ეკითხებოდა: დღეს მიცვალებულის ნამაზი ვინ ილოცა? უპოვარი ვინ დააპურა? ავადმყოფი ვინ მოინახულა? შემდეგ კი ბრძანა: -ვინც ასეთი სასიკეთო საქმე გააკეთა სამოთხის მკვიდრია. ასეთი ქცევები, რომლებიც საზოგადოებრივ ერთიანობას და ურთიერთსიყვარულს უზრუნველყოფს, გულწრფელ რწმენასა და დვთისმსახურებასთან ერთად, ადამიანს სამოთხეში შეიყვანს. ჩვენ ეს უნდა ვიცოდეთ და ამ დამოკიდებულებით უნდა გავაცილოთ მიცვალებული საიქოში.

როდესაც ადამიანი კვდება და საიქიოში აცილებენ, როგორც წესი, მისი ჭირისუფალი დამწუხებულია და ცრემლს ღვრის. ეს სრულიად ბუნებრივია. ამ დროს გული ტირის, მაგრამ მათი ენიდან მოთმინების გამომხატველი სიტყვები მოდის. როგორც იაკობი იომენდა შვილის დაკარგვას მომავალში აუცილებელი შეხვედრის იმედით, ისე უნდა მოვითმინოთ ჩვენც. მიუღებელია ხმამაღლა მოთქმა, კივილი და სხვა. მხოლოდ ცრემლი და გედრება.

„უეჭველად, ჩვენ ალლაჲს ვეკუთვნით და უეჭველად, მისდა მივიქცევით ჩვენ.“
(ბაყარა 156)

ასეთ დროს ეს დვთიური სიტყვა უნდა გვახსოვდეს, რომელიც ჩვენს გულებს მალამოდ მოეფინება. დმერთი რასაც დაგვიწესებს ის უნდა ვისურვო და დავაფასოთ.

უსამე იბნ ზეიდი მოგვითხრობს: შუამავლის ქალიშვილს ბავშვი უკვდებოდა. ეს ამბავი სასწრაფოდ შუამავალს შეატყობინეს. მე, სადი და მგონი უბეიც შუამავალთან ერთად ვიყავით. ამბავი რომ მოიტანეს შუამავალმა, ბოძებაც და წართმევაც ალლაჲის ხელთაა, მის წინაშე ყველას გარკვეული ხნის სიცოცხლე გააჩნიაო, ბრძანა და მტირალე შვილი ასე ანუგეშა. შემდეგ მომაკვდავი შვილიშვილი კალთაში ჩაიწ-

ვინა. ბავშვი სიკვდილს ებრძოდა. შუამავალს ცრემლები წამოუვიდა. სადმა იფიქრა, რომ შუამავლის ეს რეაქცია ღმერთის ნების მიმართ შეუსაბამო იყო და პკითხა, ეს რა არისო? შუამავალმა უპასუხა, რომ ეს იყო წყალობა, რომელიც ღმერთმა ადამიანების გულებში მოათავსა. ღმერთი მხოლოდ მას შეიწყნარებს, ვინც შემწყნარებელიაო. (ებუ დავუდ, ჯენაიზ, 23.2.)

ცრემლი წყალობაა, ღვთით ბოძებული. თუ გული არ დაეწვა ადამიანს ისე ცრემლი არ წამოუვა. გასვენებაში ტირილი კი არ არის აკრძალული, არამედ თავში ცემა, თმების გლეჯა, სახის ხოკვა და ხმამაღლა მოთქმა. შუამავალს კიდევ პქონდა შემთხვევები, როცა გულმა ვეღარ გაუძლო და ატირდა. როდესაც შვილი დაეღუპა, იბრაჟიმი, მაშინაც ატირდა. ასევე იტირა საყვარელი ბიძის, ჰამზას დაღუპვის შემდეგაც. თუმცა, არცერთ შემთხვევაში ხმამაღლი მოთქმა არ ყოფილა. ის ღმერთის ნებას ქედის მოდრეკით მორჩილებდა. ისლამი სიცოცხლეზე გაწყრომას, სასოწარკვეთაში ჩავარდნასა და იმედის დაკარგვას კრძალავს. როდესაც ჯაფერი შაჰიდი გახდა დიდი მწუხარება დაემართათ, მაგრამ ერთ დღეს შუამავალმა ბრძანა, რომ დღეის შემდეგ ჩემი ძმის, ჯაფერისთვის ტირილი აღარ იქნებაო. ჯაფერის შვილი აბდულლაჟი ამ ამბავს ასე აღწერს: შუამავალ-

მა დაგვიბარა და მის წინაშე დავდექით. ამდენი მწუხარებისგან თმები აჩეჩილი და მოუწესრიგებელი გვქონდა. შუამავალმა მაშნვე დალაქი მოაყვანინა და თმები შეგვჭრეს. თითქოს მეორე დღეს ბაირამიაო ისე გამოგვაწყვეს. იმ მომენტში შეიძლება ვინმეს ეფიქრა რა დროს თმის შეჭრააო, მაგრამ გლოვა უნდა დასრულებულიყო. შუამავალმა გლოვა სამი დღით განსაზღვრა. გარდაცვლილს თუ ობლები დარჩა, მათ მიმართ განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო. ისინი უნდა გავამხნევოთ, რათა იმედი არ დაკარგონ. მათ მალე უნდა დაიბრუნონ სიცოცხლის ხალისი და საამისოდ ყველანაირად უნდა დავეხმაროთ, მატერიალურად იქნება თუ ფსიქოლოგიურად. ეს ჩვენი მორწმუნეობრივი ვალდებულებაა.

რა თქმა უნდა რთულია ანუგეშო დუდა, რომელსაც შვილი დაეღუპა. ნადრის ქალიშვილი რუბეი ასეთი დედა იყო. მისი ვაჟი ჰარისე ბედრის ბრძოლაში დაიღუპა. რუბეი შუამავალთან მივიდა და უთხრა: „შუამავალო, შენ იცი ჩემი შვილის ადგილი როგორი იყო ჩემს გულში. თუ ჩემი შვილი სამოთხეშია მე უნდა მოვითმინო და ადარ ვიტირებ, თუ სამოთხეში არ არის მაშინ როგორ ვიტირებ, ნახავ.“ შუამავალმა უპასუხა: „სამოთხეს ბევრი საფეხურები აქვს. შენი შვილი ყველაზე მაღალ საფე-

ხურზე, ფირდევს სამოთხეშია“. (ბჟარი, რიქაქ 51) რუბეისთვის ეს დიდი ნუგეში იყო. მასთან ერთად არის ნუგეში ყველა იმ დედისთვის, ვისაც შვილი ადრეულ ასაკში ეღუპება.

ადამიანის გარდაცვალების შემდეგ მის ჭირისუფალს გარკვეული ვალდებულებები გააჩნია. თუ მიცვალებულს ვალი პქონდა, მისი მემკვიდრეები ვალდებულნი არიან უპირველეს ყოვლისა ეს ვალი გადაიხადონ. (თირმიზი, ჯენაიზ, 76) როდესაც ადამიანი მოკვდება მის შესახებ კარგი უნდა ვიღაპარაკოთ, მის მიერ გაკეთებული სიკეთეები გავიხსენოთ, მისი სულისთვის ვიღოცოთ და ცუდი არაფერი ვთქვათ. მორწმუნე მუსლიმს თავისი ძმისთვის ყოველთვის სიკეთე სურს, ამიტომ მისთვის ღმერთს ევედრება. მიცვალებულის სულისთვის ფულის სანაცვლოდ ყურანის წაკითხვა ან სხვაზე წაკითხება, დევრის ან ისკატის გაკეთება, სასაფლაოების სამლოცველო ადგილებად გამოყენება და საფლავებზე სანოლების დანორება რელიგიაში შემდგომში შემოსული გადაცდომებია, ბიდათია.

მიცვალებულს სამი რამ გაჲყვება თან. ამათგან ორი უკანვე ბრუნდება, ხოლო ერთი თან წაჲყვება. ამ სამოთაგან ერთი ოჯახია, მეორე ფული და მესამე მისი ნამოქმედარი. ოჯახი და ფული უკან ბრუნდება

და ამქვეყნად რჩება, ხოლო მისი ნამოქმედარი თან წაჲყვება. (იხ. მისლიმ, ზუპლ 5)

მიცვალებულის შემდეგ მისი ცხოვრუბის წიგნი იხურება, მაგრამ მის მიერ გაკეთებული სიკეთე, სასარგებლო ცოდნა და სასიკეთო შვილი გამონაკლისია და ადამიანის სიკვდილის შემდეგაც გრძელდება მადლი. (იხ. მუსლიმ, ვასიეთ, 14)

რა თქმა უნდა სიკვდილი არ ნიშნავს დასასრულს და არარსებობას. სიკვდილი უსასრულო სიცოცხლის დასაწყისია. ეს არის ყველაზე დიდი ნუგეში მორწმუნე ადამიანებისთვის. მორწმუნე და კეთილისმქნელი ადამიანებისთვის გარდაცვალება ახალი, უსასრულო სიცოცხლის დასაწყისია. დამწუხერებული ადამიანი, რაც არ უნდა როული იყოს უნდა შეეცადოს, რომ მოითმინოს და ღვთით დადგენილი წესისამებრ მოიქცეს. როდესაც შუამაგალს საყვარელი შვილი, იბრაჟიმი გარდაეცვალა, მასაც ცრემლები წამოუვიდა, მაგრამ ასე თქვა: თვალი იტირებს, გული დამწუხერდება, მაგრამ ჩვენ მხოლოდ იმას ვიტყვით, რითაც დმერთი კმაყოფილი იქნება“.



ღონიშვილის შემდეგ

პროფ. დოქ. ეროლ გოქა

როდესაც ვხდებით ისეთ ადამიანს, რომელსაც დიდი უბედურება დაატყდა თავს, ახლობელი დაკარგა და უზომოდ დამწუხებულია, ჩვენ როგორც წესი სათქმელს ვერ ვპოულობთ. ამ დროს ერთის მხრივ ვცდილობთ ვანუგეშოთ დამწუხებული ადამიანი და მეორეს მხრივ საკუთარ გულში მიმდინარე დამთრგუნველი პროცესების გამკლავება გვიწევს. ამ დროს ვცდილობთ გავამხნევოთ დამწუხებული ადამიანი, მაგრამ სიტყვებს ვერ ვპოულობთ, რა გავაკეთოთ ვერ ვხვდებით და ნერვიულობას ვიწყებთ. სანამ რამეს ვიტყოდეთ იმაზეც ვნერვიულობთ რაე შეცდომა არ დავუშვათ და ისეთი რამ არ ვთქვათ, ან უადგილო, ან სიტუაციის შეუსაბამო არ იყოს. ამ დროს იმასაც ვფიქრობთ, რამდენად სწორი იქნება ჩვენი გრძობების გამოხატვა. როცა თვითონაც ასე ცუდად ვგრძნობთ თავს, სხვისი ნუგეშისცემა როგორ უნდა შევძლოთ, ვფიქრობთ. ეს და ამგვარი შე-

კითხვები ყველა ადამიანს უჩნდება, რომელსაც დამწუხებულ ჭირისუფალთან ურთიერთობა უწევს. როცა ამ კითხვებზე არ გაქვს პასუხები და ამ დროს დამწუხებულ ჭირისუფალს ვხვდებით, როგორც წესი ადგილზე ვიყინებით და ვერაფერს ვამბობთ ხოლმე.

გლოვის პერიოდი.

გლოვა მხოლოდ ის რამოდენიმე დღიანი პროცესი არ გახლავთ, რომელიც გასვენებასა და შესაბამისი ცერემონიალების ჩატარებას მოიცავს. გლოვა გაცილებით დიდი ხნის მანძილზე გრძელდება. როგორც ჭრილობას სჭირდება შეხორცება და საბოლოოდ სრულად გამოჯანმრთელება, ისე გლოვის პერიოდშიც ადამიანის ფსიქოლოგია თანდათან შუშდება და ცხოვრებასთან უფრო მტკიცედ შეხვდება. ამ ყველაფერს კი დრო სჭირდება.

გლოვა საშიში ან უჩვეულო მდგომარეობა არ გახლავთ. ის შეიძლება ყველას თავს გადაგვხდეს და სრულიად ბუნებრივი მოვლენაა. ადამიანის გარდაცვალების შემდეგ ამ გაგებით უნდა ვიმოქმედოთ და ჭირისუფალთან მოქცევისას სიკვდილის შესახებ ტაბუდადებული თემების გახს-

ნით მათი შეგუების პროცესის დაჩქარებას ხელი უნდა შევუწყოთ. მგლოვიარობის პროცესის ნორმალურად წარმართვისა და დამწუხებული ადამიანის სწრაფი რეაბილიტაციისათვის ახლობლების და მეგობრების გვერდში დგომა, გრძნობების გამომჟღავნება და თანადგომა ძალიან მნიშვნელოვანია.

დამწუხებული ადამიანის რეაბილიტაციის პროცესი და ანალიზი

ზოგადად გლოვის პროცესს შეიძლება მსგავსი მხარეები ჰქონდეს, მაგრამ ის ინდივიდუალურიცაა. მისი მიმდინარეობა, როგორც თითის ანაბეჭდი ინდივიდუალურია და ყველა ადამიანს თავისებურად შეუძლია გლოვა. ზოგი ადამიანი მწუხარებას ტირილით ვერ გამოხატავს და ზოგიერთები ამის გამო ფიქრობენ, რომ ისინი მომხდარს სათანადოდ არ განიცდიან. ეს ძალიან გადაჭარბებული და წინდაუხედავი შეფასებაა. შეიძლება ეს დამიანები ყველაზე მეტად განიცდიან. ცრემლი, რა თქმა უნდა გლოვისა და მწუხარების სიმბოლოა, მაგრამ მწუხარების გამოხატვის დროს ტირილი აუცილებელი პირობა არ გახლავთ.

გლოვის პროცესისთვის ყველაზე დამახსიათებელი მდგომარეობა საკუთარ თავში ჩაქეტვა და მარტოობისკენ მიღრეკილების გააქტიურებაა. ასეთ დროს ადამიანი დეპრესიაშია, ფიქრობს, რომ დაუცველია და შესაბამისად სასოწარკვეთა იპყრობს. ამგვარი გულჩახვეულობა და საკუთარ თავში ჩაღრმავება ასეთ დროს ნორმალურია, მაგრამ ასეთ დროსაც სხვათა მხრიდან თანადგომა და გამხნევება საჭირო და სასარგებლოა. ახლობელდაკარგული ადამიანის მიმართ თანადგომის გამოჩენა, გამხნევება, მისი საჭიროებების შესწავლა და დახმარების გაწევა მისი რეაბილიტაციის პროცესს დააჩქარებს. ამიტომ ჰქვია მწუხარების გაზიარება. ნათქვამია, სიხარული გაზიარებით მატულობს, ხოლო მწუხარება იკლებსო.

დამწუხარებული ადამიანის გარემოცვა, თავიანთი საინტერესო სულიერი მდგომარეობით, გრძნობენ, რომ გლოვა რაც შეიძლება მალე უნდა დასრულდეს და დამწუხარებული ადამიანი ცხოვრების ნორმალურ რეჟიმს დაუბრუნდეს, ამიტომ ურჩევენ რომ ძლიერი უნდა იყოს და თავი ხელში აიყვანოს. სინამდვილეში სასურველი არ არის, რომ ამ მდგომარეობაში მყოფმა ადამიანმა სამომავლო გეგმების შესახებ გადაწყვეტილებები მიიღოს. ამ დროს სულიერი მდგომარეობა დატვირთული და გაფაქი-

ზებულია, ამიტომ სწორი გადაწყვეტილებების მირების ალბათობა შედარებით ნაკლებია. ამ მდგომარეობაში სრულიად შესაძლებელია, რომ ადამიანმა ნეგატიური და საზიანო გადაწყვეტილებები მიიღოს. ასეთ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს სასურველია შემდეგ სტილში დაველაპარაკოთ: ვიცი, რომ ძალიან გტკივა გული და განიცდი. შენს დარდს ვიზიარებ. შენს გვერდით ვართ. ეს რთული დღეები დასრულდება. რაც გჭირდება ყველაფერში დაგეხმარებით და არ მიგატოვებთ. ასეთ დროს რაიმე ცხოვრებისეულ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებ. ჯერ ყველაფერი დალაგდეს, დრო მკურნალია და მერე მიიღებ გადაწყვეტილებებს და ა.შ.

ზოგჯერ გლოვის პროცესი ჩვეული ფორმით მიმდინარეობს და შეგუება თანდათან უფრო თვალსაჩინო ხდება, მაგრამ ზოგჯერ არის ე.წ. ჩავარდნებიც. ასეთი შემთხვევებიც ბუნებრივია. მაგალითად განსაკუთრებულ შემთხვევებში, დასვენების საათებში, მარტო დარჩენისას, ან წლისთავის მოახლოებისას ადამიანს მწუხარება ისევ უბრუნდება, მაგრამ ეს პანიკის საფუძველი არ უნდა გახდეს. მგლოვიარის ეს მდგომარეობა მაღე გაივლის და ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდება.

მწუხარების პროცესში რეაბილიტაცია სწრაფად მიმდინარეობს ხოლმე და მწუხარება იკლებს, მაგრამ სრულად არ გაქრება. საყვარელი ადამიანის დაკარგვა იმდენად ღრმა ჭრილობას ტოვებს, რომ მისი სრულად მოშუშება შეუძლებელია. უბრალოდ ადამიანი ამ ტკივილთან ერთად ცხოვრებას სწავლობს და ცხოვრების ჩვეულ რიტმს ასე უბრუნდება.

თუ მგლოვიარე ადამიანის ნუგეშისცემა გვინდა არ უნდა დაგვავიწყდეს მწუხარების პროცესის მიზანი. უნდა გვახსოვდეს, რომ დამწუხრებულს დაკარგული ადამიანის დავიწყება კი არ უნდა, პირიქით, სულ ემახსოვრება. ნუგეშისცემის მიზანი ადამიანის გამხნევებაა, რათა მან ჰპოვოს ძალები, იმედი, ხალისი და შემართება, რომ ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდეს.



საუდილობრივ საუდილობრივ ფაქტი. რათა მოსებობა გახადელოთ

პროფ. დოქ. ქამილ ილმაზ

ისლამში არსებობს ტერმინი,
„თევექქურ-ი მევთ“ რომელიც სიკვდილ-
ზე ფიქრს ნიშნავს. ეს არის ცოდნა იმისა,
რომ ყოველი ამოსუნთქვა, შეიძლება უკა-
ნასკნელი იყოს. ამ დროს სანამ ნამდვილი
განკითხვა იქნება, ჩვენ საკუთარ თავს გან-
კითხვას ვუწყობთ. ამგვარი მედიტაციური
ფიქრის დროს ადამიანი საკუთარ სიკვ-
დილზე ფიქრობს და საკუთარ თავს განი-
კითხავს. ამგვარი ფიქრის დროს ამქვეყნი-
ურის მიმართ სიყვარული საგრძნობლად
იკლებს და ადამიანი სხეულის მიერ სულ-
ზე ზეწოლისგან თავისუფლდება. ეშმაკი
მუდმივად ცდილობს ადამიანი ამქვეყნიუ-
რისკენ მიაჯაჭვოს და მის გონებაში ამგ-
ვარ შეკიტხვებს ბადებს: „რა უნდა ჭამო?
რა უნდა ჩაიცვა? სად უნდა იცხოვო?“
ამის პასუხად ადამიანი ამ დროს შემდეგ
პასუხებს აძლევს: „სიკვდილს ვჭამ, სუდა-
რას ჩავიცვამ, საფლავში დაგბინავდები“.
ამ ფიქრის შედეგად ადამიანი ყოფნას უფ-

რო ისახავს მიზნად, ვიდრე არყოფნას.

სიკვდილი ცხოვრების ყველაზე ცივი ჭეშმარიტებაა. სიკვდილამდე სიკვდილის ფიქრი განსაკუთრებული მდგომარეობაა. ამას ადამიანი სიყვარულით აკეთებს. სიყვარული კი გულის საქმეა. გული არ არის მატერიალური სხეული და შესაბამისად არ მოკვდება. ეს სხეული კვდება. სული და გული რომ ცოცხალი დარჩენ სიყვარული სჭირდებათ.

სიკვდილამდე სიკვდილის წარმოდგენა ადამიანის სულიერებას განავითარებს, ამქვეყნიურ ცხოვრებას საიქიოსკენ მიმავალ გზაზე ერთ-ერთ საფეხურად მიჩნევას უზრუნველყოფს და სიკვდილს, როგორც აღმზრდელს, ისე იყენებს.

სიკვდილამდე სიკვდილის მიზანი არ-სებობის დავიწყება და არარაობის შეგრძნებაა. არარაობის შეგრძნება სულიერი წრთვნისთვის მნიშვნელოვანი მომენტია. ამით ადამიანი მოკრძალებასა და თავაზიანობას ეჩვევა. თუ ადამიანის ეგოიზმი წინ წამოიწია, გარშემომყოფებს შეაწუხებს.



სამუდამო მოგზაურობის მონაბეჭა. საფლოების წევა

დოქ. ულავეთ გორგული

ქვები მეტყველებენ?

ქვებიც კი მეტყველებენ და ბევრ რა-
მეს გვიამბობენ. ღმერთმა მთა და კლდეე-
ბი ისე გააჩინა, რომ ისინიც მეტყველებენ.
თუმცა ადამიანთა გულები თუ გაქვავდა
ისინი მათ გადმოცემულს ვეღარ გაიგონე-
ბენ. ყურანში ნაბრძანებია:

„ამის მერე (აი, ამ საოცრების შემდეგ)
გული გაგისასტიკდათ: ქვასავით გაგიხდათ
ან უფრო სასტიკი. თუმცა არის იმგვარი
ქვებიც, რომლიდანაც ნაკადული ამოდის.
უეჭველად, არის იმგვარიც, რომ იპობიან
და იქიდან წყალი გადმოდის, უეჭველად,
მათ შორის არის ისეთი, რომ ალლაჰის ში-
შით პირქვე ემხობა, ალლაჰი უგულისყურო
არ არის იმის მიმართ, რასაც აკეთებთ.“

(ბაყარა 74)

ასეთი უტყვი მეტყველებით ქვები წინაპრების შესახებ გვიამბობენ და გარდა ამისა საფლავის ქვები ბევრ საინტერესო და სიბრძნით სავსე რამეს გადმოგვცემს. საუკუნეების განმავლობაში ასე უტყვად მეტყველი ეს ქვები უპირველეს ყოვლისა უსასრულობისკენ მიმავალ მგზავრობას გვახსენებს, შემდეგ კი თითქოს ხიდები არიან წარსულიდან აწმყოში გადებულნი. ისინი ასე უტყვად დგანან და წარსულის პულტურის, ცივილიზაციის და ისტორიის მოწმენი არიან.

მოდით ვნახოთ წინაპრები რას წერდნენ საფლავის ქვებზე და როგორი იყო მათი ამქვეყნისა თუ საიქოსადმი დამოკიდებულება. ვნახოთ, რას ჩურჩულებენ საფლავის ქვები.

სუკვდილი, როგორც პეპელა ტოვებს ჭუპრს და ამოფრინდება, ისე მიტოვებაა სხეულისა. თუმცა სიკვდილის ახსნით და მოყოლით გაგება შეუძლებელია. ის ერთ-ერთი მათგანია, რომელიც უნდა გამოსცადო, რომ გაიგო.

სიკვდილი ჰიჯრაა. ეს არის მოგზაურობა დროებითი ქვეყნიდან მუდმივ ქვეყანაში. სხეული, რომელიც მიწისგან იყო ნასესხები, ისევ მიწას უბრუნდება. თუმცა საფლავი შესაძლებელია არა მხოლოდ მი-

წად დარჩეს, არამედ სამოთხის ბაღნარად
გადაიქცეს.

დაბადებისთაბავე სიკვდილზე ვართ და-
ნიშნულები. სიკვდილი ყველაგან და ყვე-
ლასთან აღწევს. მუსლიმი სიკვდილს არ
უპირისპირდება. ის მას მშვიდობიანად
იღებს. მორწმუნეს ეს ქვეყანა არ აკმაყო-
ფილებს. ის სიკვდილს არ აპროტესტებს
და იცის, რომ უნდა გარდაიცვალოს.

ამქვეყნიური ცხოვრება საიქიოს ყანაა
და შესაბამისად მორწმუნენი მოსავლის
აღების დროს მშვიდად ელოდებიან. მორწ-
მუნე ღვთისმსახურებითა და კეთილი საქ-
მეებით ცდილობს საიქიო ცხოვრებისთვის
ბედნიერი მომავალი გაიმზადოს, თუმცა
მან იცის, რომ საიქიოში ღმერთის წინაშე
წარსდგომისას მისი წყალობა და მიტევე-
ბა ყველაზე მეტად სჭირდება.

სიკვდილის დავიწყება და საიქიო ცხოვ-
რების გარეშე ცხოვრება, სინამდვილეში
არ არის ცხოვრება. ამქვეყნიური ცხოვრე-
ბა ფქვილივით ფქვავს ყველას და მისმა
მიმზიდველობამ არ უნდა მოგვხიბლოს.
რომელი მდგომარეობა ან წოდება შერჩა
ადამიანს ბოლომდე? ვის არ დარჩა მთელი
თავისი ფული და ქონება ამქვეყანაზე?

საიქიოში ყველა ამგვარი ცვლილება მოისპობა და ყველანი გათანაბრდება. ახალგაზრდა, მოხუცი, მდიდარი, ღარიბი, ქალი, კაცი, მცოდნე, უვიცი, ყველა ერთნაირ ტანისამოს ჩაიცვამს და ერთიანად ლვთის წინაშე წარსდგება. ყველანი საფლავში წავლენ და არც პომპეზური დაკრძალვის ცერემონიალები და არც მდიდრული საფლავები შეცვლიან რამეს.

შუამავალი გვირჩევს საფლავები მოვინახულოთ, რათა სიკვდილი გაგვახსენდეს. ადრე წასულები უნდა გავიხსენოთ და მათი სულები ლმერთს შევავედროთ.

საფლავის ქვებს შორის ხეტიალისას რამდენ რამეზე შეიძლება დაფიქრდეს ადამიანი. იმდენი რამ გვახსენდება, თვალზე ცრემლი გვადგება. სიკვდილზე იშვიათად ფიქრობენ, მაგრამ როგორც კი დრო მოვა, ყველა უსიტყვოდ ემორჩილება მის ნებას. ამ ლვთიური ნების მიმართ მორჩილება კი სიკვდილს აიოლებს. სინამდვილეში ეს ყველაფერი, მიცვალებულებიც და ყველა ეს წარწერებიც მხოლოდ ერთს მეტყველებენ: მხოლოდ ისაა უკვდავი, სამყაროს გამჩენი ერთადერთი ლმერთი.